



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამბაკიძე”

აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

“03” აპრილი “2018 წელი

N 27/36

ფგზ. 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ჰანგრეთელბისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს აპარატისა და პროგრამების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისათვის

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	7
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	7
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები	8
1.2.1 ძირითადი აქტივები	8
1.2.2 არამატერიალური აქტივები.....	8
1.2.3 შენობა-ნაგებობების განკარგვა	9
2. სხვა გარემოებები	10
2.1 ინვენტარიზაცია.....	10
2.2 არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა	11
2.3 მატერიალური აქტივები	11
2.4 ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმები.....	12
2.5 შრომის ანაზღაურება	13
2.6 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	13
2.7 სახელმწიფო შესყიდვები	13
2.8 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა	14
3. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	16
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.....	16
5. დანართები - სამინისტროს (05 00) ფინანსური ანგარიშგება.....	19

ტერმინთა განმარტება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო - **სამინისტრო;**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა - **ავტონომიური რესპუბლიკა;**


აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით - **ფინანსური ანგარიშგება;**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური - **სას.**

ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს. სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად სამინისტროს მმართველობაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებით, მედიკამენტებით, ინვენტარით და სხვა საშუალებებით მომარაგების ხელშეწყობა; ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა; დევნილი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება; დევნილი სპეციალისტების სამეცნიერო საქმიანობის, უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობა; კადრების კვალიფიკაციის შენარჩუნებისა და დახელოვნებისათვის მიმართულ ღონისძიებათა გატარება; აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მონიტორინგი, ანალიზი, შეფასება და სოციალური პროფილის პროგრამების შედგენაში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა სოციალური დაცვის სფეროში საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შემდგომი გაუმჯობესებისათვის წინადადებების მომზადება; ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის პერიოდში პროგრამებით მოსარგებლე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ ბენეფიციართა და მათ თანმხლებ პირთა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სხვ.

სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურა



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (პროგრამული კოდი: 05 00)

სამინისტროს 2017 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარებში)

პროგრ. კოდი (1)	დასახელება (2)	2017 წ. დამტკიცებული ბიუჯეტი (3)	2017 წ. დაზუსტებული ბიუჯეტი (4)	2017 წ. საკასო ხარჯი (5)	სხვაობა დამტკ.-დაზუსტ (6)	შესრ.% (სვ.5/3) (7)
05 00	აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	872,530	895,210	893,930	(22,680)	102%
	ხარჯები	872,530	891,740	890,460	(19,210)	102%
	შრომის ანაზღაურება	375,330	384,440	384,400	(9,110)	102%
	საქონელი და მომსახურება	146,200	147,780	147,780	(1,580)	101%
	სოციალური უზრუნველყოფა	285,000	292,250	291,130	(7,250)	102%
	სხვა ხარჯები	66,000	67,270	67,150	(1,270)	102%
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	66,000	51,750	51,630	14,250	78%
	სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	-	15,520	15,520	(15,520)	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	3,470	3,470	(3,470)	-

პროგრამულ კრილში სამინისტროს 2017 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარებში)

პროგრ. კოდი (1)	დასახელება (2)	2017 წ. დამტკიცებული ბიუჯეტი (3)	2017 წ. დაზუსტებული ბიუჯეტი (4)	2017 წ. საკასო ხარჯი (5)	სხვაობა დამტკ.-დაზუსტ (6)	შესრ.% (სვ.5/3) (7)
05 00	აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	872,530	895,210	893,930	(21,400)	102%
05 01	აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატი	522,530	545,210	545,050	(22,520)	104%
05 03	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ამჟღავნებული დახმარების პროგრამა	170,000	213,950	213,380	(43,380)	126%

05 04	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირთა) ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა	70,000	26,050	25,700	44,300	37%
05 05	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამა	60,000	60,000	59,800	200	100%
05 06	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა	50,000	50,000	50,000	-	100%
05 09	აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სარეაბილიტაციო მკურნალობის პროგრამა	-	-	-	-	-
05 10	რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამა	-	-	-	-	-

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატისა და პროგრამების (პროგრამული კოდი: 05 00) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1), ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №2-2), წმინდა ღირებულების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №3), არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №4), არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №5), არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №5-1), ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე (ბალანსის დანართი ფორმა №6), ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოშობის წლების მიხედვით (ფორმა №7), ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებები წარმოშობის წლების მიხედვით (ფორმა №8), ინფორმაცია ფინანსური აქტივების და მოთხოვნების შესახებ დებიტორების მიხედვით (ფორმა №9), ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ კრედიტორების მიხედვით (ფორმა №10).

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 ძირითადი აქტივები

ბალანსის დანართ ფორმა №1-ში ბალანსგარეშე საცნობარო მუხლებში: „№04 ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“, „№08 ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ და „№10 ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ ფინანსური აქტივები წარმოდგენილია 87,595.00 ლარით. ვინაიდან აქტივებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ აწარმოებდა აქტივების რეესტრს, ამასთანავე თითოეულ აქტივზე არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები¹, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მიერ მოწოდებული რეესტრები² არაა ერთმანეთთან შესაბამისობაში, აუდიტის ჯგუფი ვერც ჯვარედინი გადამოწმებით და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით ვერ დაადასტურებს აღნიშნული თანხის სიზუსტესა და სისრულეს.

1.2.2 არამატერიალური აქტივები

ბალანსის ანგარიშზე „2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები“ ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა №5-ში წლის ბოლოს ასახულია 29,521.75 ლარის ღირებულების 3 ერთეული არამატერიალური აქტივი. აღნიშნული აქტივებიდან ერთ შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა გაზრდილი არამატერიალური აქტივის ღირებულება, ხოლო ორ შემთხვევაში - აუდიტებულ წელს ცვეთის თანხები არ დარიცხულა, რითაც დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები³. კერძოდ:

1. 2009 წელს შეძენილი 12,360.00 ლარის ღირებულების აქტივი „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური სტატუსის ამსახველი მონაცემების ერთიანი ელექტრონული ბანკის საპილოტე პროგრამა“ ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით 2013 წლიდან აღარ ფუნქციონირებს და პერიოდის საწყის ნაშთში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, რადგან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს⁴. შესაბამისად, აღნიშნული თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა გაზრდილი არამატერიალური აქტივის ღირებულება, რაც ასევე არსებითად არასწორად ზრდის წმინდა ღირებულებას და საბოლოო ჯამში არ იძლევა ფინანსური ანგარიშგების სწორად აღქმის შესაძლებლობას;
2. 2007 წელს შეძენილი 12,568.50 ლარის ღირებულების აქტივი - „გალის ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციის პროექტი“, რომელსაც ცვეთა არ

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება. მუხლი 18, პუნქტი 3.

² ბუღალტრული რეესტრები „ორიდან“, ინვენტარიზაციის უწყისები და მატერიალური აქტივების შემოსავლისა და გასავლის რეესტრები.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება. მუხლი 24, პუნქტი 23. მუხლი 36, პუნქტი 4, „ა“ ქვეპუნქტი.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება. მუხლი 2, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

ერიცებოდა, ცვეთის სათანადო ნორმით ამორტიზაციის შემთხვევაში, 2017 წელს დაერიცებოდა 1,256.85 ლარის ცვეთა და 31 დეკემბრის მდგომარეობით უკვე სრულად ამორტიზებული იქნებოდა. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში 12,568.50 ლარით არასწორადაა გაზრდილი არამატერიალური აქტივის ღირებულება, ამავდროულად შემცირებულია საცნობარო მუხლი „№08 - ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ და ასევე არასწორადაა შემცირებული ძირითადი კაპიტალის მოხმარების ღირებულება 1,256.85 ლარით. ჯამში ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია არასწორად და არაზუსტად;

3. 2012 წელს შეძენილი 4,300.00 ლარის ღირებულების აქტივი - „გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს ტერიტორიაზე გადაუდებელი დახმარების კომპლექსის და სპეციალური ავტოფარეხის პროექტი“, რომელსაც ცვეთა არ ერიცებოდა, ცვეთის სათანადო ნორმით ამორტიზაციის შემთხვევაში, 2017 წელს დაერიცებოდა 430.00 ლარის ცვეთა და 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი საბალანსო ღირებულება, დაგროვებული ცვეთის გათვალისწინებით, იქნებოდა 2,150.00 ლარი⁵. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ღირებულება არასწორადაა გაზრდილი 2,150.00 ლარით და კაპიტალის მოხმარების ღირებულება არასწორადაა შემცირებული 430.00 ლარით, რაც ჯამში გავლენას ახდენს წმინდა ღირებულებაზე და ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობასა და სისწორეს.

ამრიგად, ბალანსის ზემოაღნიშნულ მუხლში 27,079.00 ლარით მეტი ოდენობითაა ასახული აქტივების ღირებულება, არასწორადაა შემცირებული ცვეთა 1,686.00 ლარით და 12,568.50 ლარით ნაკლები ოდენობითაა წარმოდგენილი „№08 ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ საცნობარო მუხლი. საბოლოო ჯამში არასწორი ფინანსური ანგარიშგების წარდგენით იქმნება ფინანსური ანგარიშგების პოტენციური მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის რისკი.

1.2.3 შენობა-ნაგებობების განკარგვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სარგებლობაში აქვს 800 კვ.მ ფართი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის №16-ში მე-3 სართულზე. აღნიშნული ფართის ნაწილი (37 კვ.მ) ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე⁶ დაკავებული აქვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის დეპარტამენტის სსიპ - გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სანიტარიის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მონიტორინგისა და რეაგირების სამსახურს.

ასევე სამინისტროს ფართის ნაწილი 48კვ.მ-ის ოდენობით, ასევე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავებული აქვს 2017 წელს შექმნილ აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატას.

5 (4,300-2,150)

⁶ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

მიუხედავად სას-ის მიერ არაერთგზის გაცემული რეკომენდაციისა, ვინაიდან აუდირებული წლის განმავლობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ ან სასყიდლოდ (ქირით, იჯარით) გადაცემასთან დაკავშირებით სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა ქმედითი ღონისძიებები, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არამართებულად და არამიზნობრივად განკარგვას.

ამრიგად, პირობითი მოსაზრების საფუძველში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების, ძირითადი კაპიტალის მოხმარების და საცნობარო მუხლების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას⁷.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ სამინისტროსაგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 ინვენტარიზაცია

აუდიტის ობიექტის მიერ მინისტრის 2017 წლის 8 ნოემბრის №მ/რ-119 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია არ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს⁸, კერძოდ:

- კომისიის წევრების მიერ დადასტურდა იმ მატერიალური და არამატერიალური აქტივების არსებობა, რომლებიც ინვენტარიზაციის დროს ფაქტობრივად არ არსებობდა („აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური სტატუსის ამსახველი მონაცემების ერთიანი ელექტრონული ბანკის საპილოტე პროგრამა“; „გალის ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციის პროექტი“ საგამოძიებო ორგანოს მიერ 2013 წლიდან იყო ამოღებული სამინისტროს სხვა საბუთებთან ერთად და ობიექტის მიერ ასლი გამოთხოვილ იქნა აღნიშნული სამსახურიდან აუდიტის მიმდინარეების პერიოდში; სამინისტროს მიერ 2017

⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტები.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მუხლი 2, პუნქტები: „ბ“; „ზ“; მუხლი 5, პუნქტი 12, „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები.

წლის მაისის თვეში, ქონების მართვის სააგენტოსათვის გადაცემული 838.60 ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივები.)

- ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით.
- არ გაკეთებულა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

2.2 არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა

- მატერიალურ აქტივებზე პასუხისმგებელი პირის ინფორმაციით, აუდირებული წლის განმავლობაში პირადად მას არ გააჩნდა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურისგან დამოუკიდებლად („ორისის“ პროგრამაში დაფიქსირებული აქტივების გარდა) მატერიალური აქტივების რეესტრი. აქტივების სრულ ჩამონათვალზე (გარდა მარაგებისა) არ იწარმოებოდა საინვენტარო ბარათები⁹.
- არაფინანსური აქტივების შემოსვლისას არ ხდებოდა მომწოდებლის საბუთზე/მიღება-ჩაბარების აქტზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ არაფინანსური აქტივის მიღების დადასტურება ხელმოწერით¹⁰.
- მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ხარჯებში ჩამოწერის დროს არ იყო შექმნილი გასავლის ზედდებული მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, ასევე გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ექსპლუატაციაში გასვლისას არ იქმნებოდა პასუხისმგებელ თანამშრომელზე მიმაგრების აქტები¹¹.

2.3 მატერიალური აქტივები

- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „მატერიალური მარაგების“ და „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მიმდინარე პერიოდის შესყიდვები ნაცვლად 93,354.00 ლარისა, წარმოდგენილია 71,827.00 ლარით. 21,515.00 ლარის სხვაობა შედგება: დევნილი ბენეფიციარებისათვის შესყიდული 8 კომპლექტი - 15,520.00 ლარის ღირებულების მენჯ-ბარძაყის პროთეზის (მენჯ-ბარძაყის პროთეზირების ოპერაციას ატარებდა ლუდუშაურის კლინიკა, ხოლო სამინისტრო კლინიკას, ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში, უზრუნველყოფდა შპს „ტიბიასგან“ შესყიდული შესაბამისი პროთეზით), ასევე დევნილი ბენეფიციარებისათვის გადასაცემი შპს „მედინიუსისგან“ შეძენილი

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 18, პუნქტი 3.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 18, პუნქტი 2.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 18, პუნქტი 5.

4,900.00 ლარის ღირებულების დამხმარე სამედიცინო საშუალებებისა და 1,095.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთების ღირებულებისაგან. აღნიშნული აქტივები, მიუხედავად იმისა, რომ თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ექვემდებარებოდა მარაგად მიღების აღრიცხვას¹² და ექსპლუატაციაში გასვლისას დანიშნულების მიხედვით ხარჯებში ჩამოწერას¹³, სამინისტროს მიერ შესყიდვისთანავე ჩამოიწერა ხარჯებში.

- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „მატერიალური მარაგების“ გასვლა - „საქონელი და მომსახურების“ სვეტში აისახა 74,999.80 ლარის მატერიალური აქტივები. აუდიტის ობიექტის მიერ მოცემული ინფორმაციით, ამ თანხიდან 12,608.00 ლარის აქტივები არ განეკუთვნებოდა მიმდინარე პერიოდის ხარჯს და წლის დასაწყისისათვის უკვე იმყოფებოდა ყოველდღიურ მოხმარებაში და თავისი შინაარსიდან გამომდინარე, განეკუთვნებოდა საცნობარო მუხლს - „№04 ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“.
- სამინისტროს მიერ გასული წლების საანგარიშო მონაცემებში აღმოჩენილი შეცდომის გასწორება და შესაბამის მუხლებზე გადატანა არასწორად აისახა „№7230 - საოფისე ხარჯის“ სახით¹⁴, ნაცვლად „№8200 - არასაოპერაციო ხარჯისა“¹⁵, რაც ასევე უნდა ასახულიყო ბალანსის დანართ ფორმა №3-ში.

2.4 ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმები

- არამატერიალური აქტივი ბალანსის ფორმა №1-ში ნაცვლად „არამატერიალური ძირითადი აქტივების“ საბალანსო მუხლისა, შეცდომით არის ასახული „სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივების“ მუხლში.
- სამინისტროს მიერ შპს „ტიბიასგან“ განხორციელებული მენჯ-ბარძაყის პროთეზების შესყიდვა ხაზინიდან შეცდომით განხორციელდა 2.8.2.2 მუხლიდან - „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები“, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა №2-ში შეუსაბამოდ აისახა 2.8.2.1 მუხლში „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები“. შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული შესყიდვები განეკუთვნება მუხლს - 2.7.2.2. „სოციალური უზრუნველყოფა სასაქონლო ფორმით“¹⁶.
- ასევე შეცდომით განხორციელდა სამინისტროს მიერ დევნილ ბენეფიციართათვის გადასაცემად შესყიდული 44,800.00 ლარის მედიკამენტების შემენა ხაზინის მუხლიდან 2.7.2.1 „სოციალური დახმარება -

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 20, პუნქტი 1.

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 20, პუნქტი 7.

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 6, პუნქტი 2.

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 38, პუნქტი 6, „ე“ ქვეპუნქტი.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“ - სოციალური უზრუნველყოფა (27).

ფულადი ფორმით“, ნაცვლად სახაზინო მუხლისა, 2.7.2.2. „სოციალური უზრუნველყოფა სასაქონლო ფორმით“.

- შპს „მედიკინისიგან“ შეძენილი 4,900.00 ლარის ღირებულების დამხმარე სამედიცინო საშუალებები შეცდომით იქნა შესყიდული ხაზინის მუხლიდან 2.8.2.1.18 „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი“, ნაცვლად მუხლისა - „2.7.2.2. „სოციალური უზრუნველყოფა სასაქონლო ფორმით“.

2.5 შრომის ანაზღაურება

2017 წელს აუდიტის ობიექტის მიერ ნაწარმოებ „თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის ჟურნალში“ თითოეული თანამშრომლის სამუშაო ადგილზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების დროდ დაფიქსირებული იყო არა მათი ინდივიდუალური მოსავლა-წასვლის საათი, არამედ შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის შედგენის საფუძველს, ნაწარმოები იყო ფორმალურად და არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას, შესაბამისად სრულად და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფდა თანამშრომელთა სამუშაო დროის კონტროლს¹⁷.

2.6 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება

სამინისტროში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყო 5 (ხუთი) პირი, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის¹⁸ მოთხოვნათა მიუხედავად, დასაქმებული იყვნენ მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად 9-12 თვის ვადით და მათზე გაიცა 38,040.00 ლარის ანაზღაურება, მათ შორის, 4 მოსამსახურე სამინისტროში მუშაობდა 2016 წელსაც (12 თვით) და ასრულებდა ხელშეკრულებით დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

2.7 სახელმწიფო შესყიდვები

სამინისტროს მიერ ჩატარებული 31 ელექტრონული ტენდერიდან, 11 შემთხვევაში გამარჯვებულ პრეტენდენტთა მიერ დაფიქსირდა საბოლოო ფასები, რომლებიც მნიშვნელოვნად (20%-50%-ით) დაბალი იყო სამინისტროს მიერ განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე¹⁹. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების შეუსაბამო დაგეგმვასა და განხორციელებაზე. კერძოდ, ტენდერის გამოცხადებამდე შესაბამისი ხარისხის შესყიდვის ობიექტების საბაზრო ღირებულების დადგენისა და ადეკვატურად განსაზღვრის მიზნით, სამინისტროს მხრიდან საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ბაზრის კვლევასა და ანალიზს²⁰, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს შესყიდვების სწორად დადგეგმვას და საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიანად

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 30, პუნქტი 14.

¹⁸ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი, პუნქტი „ვ“.

¹⁹ ცნობა „გამარტივებული ელექტრონული შესყიდვების შესახებ“.

²⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 9, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ე“, „თ“.

ხარჯვას. ამასთანავე, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებიდან რიგ შემთხვევებში დარღვეული იყო დოკუმენტაციის ატვირთვის ვადები²¹, კერძოდ: დაგვიანებით აიტვირთა 1 (ერთი) შემთხვევაში ხელშეკრულების, 8 (რვა) შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და 6 შემთხვევაში - ფაქტობრივად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.8 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების ნაწილობრივ გამოსწორების მიუხედავად, მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც გამოვლინდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტისას²². კერძოდ:


- მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა პერიოდში, მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კვლავ იყვნენ დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად, რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ (მუშაობდნენ) არა დროებით (გარკვეული ვადით), არამედ ამოცანათა შესასრულებლად, არამედ მუშაობდნენ მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში. 2015-2017 წლების მაჩვენებელთა დინამიკის გათვალისწინებით, სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, აუდიტებულ პერიოდში სამინისტროში კვლავ არ გამოსწორებულა მდგომარეობა ისეთი შტატგარეშე თანამშრომლების დასაქმების მხრივ, რომლებიც ასრულებდნენ მუდმივი ხასიათის სამუშაოებს მთელი წლის (ხანგრძლივი პერიოდის) განმავლობაში; ხოლო მათზე გაცემული ანაზღაურების თანხა 2017 წელს გაზრდილია წინა წლებთან შედარებით (ცხრილი 1).

წელი	შტატგარეშე მომუშავეთა დინამიკა			
	გარკვეული პერიოდით დასაქმებული		მუდმივად მომუშავე	
	რაოდენობა	თანხა (ათ. ლარებში)	რაოდენობა	თანხა (ათ. ლარებში)
2015	5	28,01	5	36.84
2016	6	30.43	5	36.24
2017	4	26.54	5	38.04


ცხრილი 1. შტატგარეშე თანამშრომელთა დინამიკა წლების მიხედვით (ათ. ლარებში)

²¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მუხლი 5, პუნქტი პირველი.

²² სას-ის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტის 2017 წლის 24 მარტს დამტკიცებული ანგარიში N16/36.



დიაგრამა 1. შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობის დინამიკა



დიაგრამა 2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების დინამიკა

- კვლავ დაფიქსირდა როგორც ძირითადი, ისე სხვადასხვა მატერიალური მარაგების სწორად აღრიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, მიუხედავად ამ კუთხით სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილობრივ შესრულებისა, სამინისტროს მიერ მაინც არ განხორციელებულია ისეთი არსებითი ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფდა დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებას;
- წინა პერიოდის მსგავსად, მიმდინარე აუდიტის დროსაც დაფიქსირდა სახელმწიფო ქონების უკანონოდ გამოყენების ფაქტები. კერძოდ, მიუხედავად გასულ პერიოდში ამ კუთხით სას-ის მიერ გაცემული მკაფიო რეკომენდაციებისა, რომლებიც მიმართული იყო სახელმწიფო ქონების კანონიერ, მართლზომიერ განკარგვაში მიქცევის ხელშესაწყობად, აღნიშნული მიმართულებით არაფერი არ გამოსწორებულა და ისევე როგორც წინა წლებში, ქმედითი ღონისძიებების განუხორციელებლობის პირობებში, კვლავაც დაფიქსირდა სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების უკანონოდ და არამართლზომიერად გამოყენების დაუშვებელი (უხეში) ფაქტები²³.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით სამინისტროსთვის გაგზავნილი სარეკომენდაციო წერილით სას-მა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, არსებული ნაკლოვანებები მაინც არ აღმოფხვრილა.

²³ იხ. 1.2.3 შენობა-ნაგებობების განკარგვა.

3. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან

ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა - უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახვლად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სამინისტროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, სამინისტრო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.


